აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება

ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი

ქ. ბათუმის და ქ. ქობულეთის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების მშენებლობისათვის არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

2013 წელი 27 სექტემბერი

ქ. ბათუმი

სარჩევი

საკონკურსო განცხადება ----------3

ტექნიკური დავალება----------6

ხელშეკრულების პროექტი ---------- 7

კონკურსანტის რეკვიზიტები დანართი №1 ---------- 12

საკონკურსო წინადადების ფასი - დანართი №2 ---------- ---------- 13

არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა ---------- ----------14

საკონკურსო განცხადება

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (მის: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №84/86) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრებით აცხადებს კონკურსს ქ. ბათუმის და ქ. ქობულეთის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების მშენებლობისათვის არქიტექტურულ და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანს წარმოადგენს: ქ. ბათუმის და ქ. ქობულეთის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების მშენებლობისათვის, საუკეთესო ვიზუალიზაციის (შენობის ესკიზის) მქონე კონკურსანტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ 2 (ორი) საინფორმაციო ცენტრის შენობის სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

3. **შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს: 3500 (სამიათასხუთასი) ლარს.**

4. შესყიდვის ობიექტი:
4.1 ქ. ბათუმის და ქ. ქობულეთის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების მშენებლობისათვის (სულ 2) სრული არქიტექტურული და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ხელშეკრულების გაფორმებისას შემსყიდველი გამარჯვებულ კონკურსანტს მიაწოდებს საპროექტო ობიექტების მისამართებს და აზომვითი ნახაზების, სადაც უნდა განხორციელდეს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების მშენებლობა. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.
4.2. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს საპროექტო ზედამხედველობა პროექტის განხორციელების პროცესში.

მიმწოდებლის მიერ შექმნილ პროექტებზე **საავტორო უფლებით სარგებლობს შემსყიდველი.**

5. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2013 წლის 4 ოქტომბრის 9 საათიდან 2013 წლის 4 ოქტომბრის 15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №84/86. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.

6. კონკურსი ჩატარდება 2013 წლის 4 ოქტომბრის 16 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №84/86. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.

7. კონკურსში მონაწილეობის საფასური:

7.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს სახელწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 19¹ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით. (50 ორმოცდაათი ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://procurement.gov.ge).

7.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

პირის მიერ 7.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

8. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება.
9. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.
10. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
11. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

12. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.

13. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

14. საკონკურსო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

15. თუ კონკურსანტი არ არის დღგ-ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნეს დღგ-ს გარეშე, რაც მითითებული უნდა იყოს დანართი №2-ში.

16. საკონკურსო წინადადება რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (3500 ლარი) არ განიხილება.

17. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში. ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

18. **კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:**
ა) კონკურსანტის რეკვიზიტები დანართი N1-ის მიხედვით.
ბ) საკონკურსო წინადადების ფასი - დანართი №2-ის მიხედვით;
გ) გამოცდილების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები: 1) ძირითადი სპეციალისტების შესაბამისი განათლების დამადასტურებელი მოწმობა (დიპლომი). 2) ინფორმაცია პირის (ორგანიზაცია) მიერ გაწეული მინიმუმ ერთი ანალოგიური მომსახურების შესახებ. (წარმოსადგენია შემსყიდველ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულების და მიღება-ჩაბარების აქტების ასლები).
დ) შენობის ვიზუალიზაცია (ესკიზი) 3D ფორმატით. (1 ეგზემპლიარი დაბეჭდილი A3 ფორმატში). ასევე წარმოდგენილი უნდა იქნას ელექტრონული სახითაც PDF ფორმატით.
ე) საკონკურსოდ წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით ასაშენებელი შენობის სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულება, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 40 000 (ორმოციათასი) ლარს.
ვ) მშენებლობისათვის ძირითადი გამოსაყენებელი მასალის სპეციფიკაცია (ტექნიკური და ფიზიკური მახასიათებლები).

19. საკონკურსოდ წარმოდგენილი ესკიზი, რომლის მიხედვითაც ასაშენებელი შენობის სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულება აღემატება 40 000 (ორმოციათასი) ლარს არ განიხილება.

20. საკონკურსო წინადადების შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

1. შენობის ვიზუალიზაცია (ესკიზი) - კოეფიციენტი - 0.6.
2. საკონკურსო წინადადების ფასი - კოეფიციენტი - 0.2.
3. გამოცდილება და კვალიფიკაცია - კოეფიციენტი - 0.2.

შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა, მაგრამ არანაკლებ 30 ქულისა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

21. გამარჯვებულმა კონკურსანტმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღეში უნდა უზრუნველყოს 2 (ორი) სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდების თითო 5 (ხუთი) ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიით PDF ფორმატში.

22. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების შესაბამისად.

23. საკონკურსო განცხადებასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №84/86. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. საკონტაქტო პირიები:
- იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით - ზვიად ანთაძე ტელ: 577 14 17 71;
- ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით - რაულ აბულაძე ტელ: 577 90 60 17.

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქ. ბათუმის და ქ. ქობულეთის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების (სულ 2) მშენებლობისათვის პროექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და საპროექტო ზედამხედველობა.

ასაშენებელი ობიექტების შესახებ (მისამართები, მიწის ნაკვეთები და აზომვითი ნახაზები) ინფორმაციას გამარჯვებულ კონკურსანტს მიაწოდებს შემსყიდველი. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე მიმწოდებელი იწყებს შემსყიდველთან შეთანხმებული ესკიზის ფარგლებში, კონკრეტული საინფორმაციო ცენტრის სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას.

საპროექტო ობიექტების ძირითადი ტექნიკური მაჩვენებლები:

ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის შენობა უნდა იყოს ერთსართულიანი, ერთი მთლიანი სივრცე სველი წერტილის გათვალისწინებით. შენობის სავარაუდო ფართობი 14-20 კვ.მ. (მიწის ნაკვეთის ფართობისა და ფორმის გათვალისწინებით). შენობის გარე ფასადზე უნდა იყოს ქართულ-ინგლისური წარწერა - ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი/tourist information center.

ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 40 000 (ორმოციათასი) ლარს. 2 (ორი) ობიექტზე ჯამში 80 000 (ოთხმოცი) ლარს.

ძირითადი მოთხოვნა:

სამშენებლო დოკუმენტის პროექტი უნდა შეიცავდეს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ N57 დადგენილებით განსაზღვრული შენობა-ნაგებობის შესაბამისი კლასისათვის გათვალისწინებული სამშენებლო დოკუმენტის პროექტს. დაპროექტებისას გათვალისწინებული იქნას ადგილობრივი კლიმატური პირობები. პროექტი შედგენილ იქნას მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

1. კონსტრუქციულ და არქიტექტურულ პროექტს სათანადო დეტალიზაციით;
2. წყალმომარაგებისა და კანალიზაციის გარე და შიგა ქსელის პროექტს;
3. ელექტრომომარაგების შიგა ქსელის პროექტს;
4. ასაშენებელი შენობის ვიზუალიზაციას;
5. მთლიანი დოკუმენტაციის ელექტრონულ ვერსიას;
6. მიწის ნაკვეთის ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტს;
7. შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვას (თითოეული ობიექტის მიხედვით);
8. განმარტებითი ბარათს.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე. პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი წერილობით თანხმდება შემსყიდველთან.

შენიშვნა: გამარჯვებულმა კონკურსანტმა თითოეული ობიექტის საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 5 ეგზემპლარად და ელექტრონული (PDF) ვერსიით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე კანონმდებლობის შესაბამისად პასუხს აგებს შემსრულებელი და უზუსტობის შემთხვევაში შემსრულებელი დაჯარიმდება შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 10 %-ის ოდენობით და დოკუმენტაციაში შესწორება მოხდება ანაზღაურების გარეშე.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ხელშეკრულება N

ქ. ბათუმი, ... 2013 წელი

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის დემურ დემურ დიასამიძის (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ ..... სახით (შემდგომში მიმწოდებელი), N----- კონკურსის ჩატარების შედეგად, კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 71200000) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. შესყიდვის ობიექტია: ქ. ბათუმის და ქ. ქობულეთის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების (სულ 2) მშენებლობისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და საპროექტო ზედამხედველობა.
1.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს _____ ლარს.

2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და სტანდარტები

2.1. ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ სფეროში არსებულ სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.
2.2. მიმწოდებელი იძლევა ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
2.3. იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურების ხარისხი ვერ აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს, მას უფლება აქვს უარი განაცხადოს უხარისხო მომსახურებუს მიღებაძე.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტენიკურ პირობებთან.
3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
3.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ----------

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, პირობები და ადგილი

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შემსყიდველს მიაწოდოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში.
4.2. შესყივის ობიექტის მიწოდების ადგილია - ქ. ბათუმი, ----------
4.3. თითოეული ობიექტისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 5 (ხუთი) ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიით PDF ფორმატში.
4.4. წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე კანონმდებლობის შესაბამისად პასუხს აგებს მიმწოდებელი, უზუსტობის შემთხვევაში მიმწოდებელი დაჯარიმდება შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 10 %-ის ოდენობით და დოკუმენტაციაში შესწორება მოხდება ანაზღაურების გარეშე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლე ზედნადების (საგადასახადო ანგარიშფაქტურის) გაფორმებით.
5.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლე ზედნადების (საგადასახადო ანგარიშფაქტურის) გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმეტაცია.
5.3. შესყიდვების ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი(ები)ა: ----------

6. ანგარიშსწორება

6.1. ხელშეკრულების საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
6.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.
6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად დოკუმენტების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7. ფასები

7.1. მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
7.2. ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.
7.3. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.
7.4. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
7.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

10. სუბკონტრაქტორები

10.1. სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

11.2. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, ამ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე შეწყდება.

12. ფორს მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და

შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. გამოყენებული სამართალი

14.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16. გადასახადები და დაბეგვრა

16.1. უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებელების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

16.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ----------

18. სხვა პირობები

18.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით, ხარჯებითა და რისკით.

18.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი -

მიმწოდებლს, ხოლო ორი ეგზემპლარი - შემსყიდველს). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

19. <u>მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები</u>

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	
საიდენტიფიკაციო კოდი - 245427809	*საიდენტიფიკაციო კოდი -*
ტელ: (+995) (422) 27 50 23	*ტელ:*
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. #84/86	*მისამართი:*
საბანკო რეკვიზიტები:	***საბანკო რეკვიზიტები:***
ს.ს. "ლიბერთი ბანკი"	
ბანკის კოდი – LBRTGE22	*ბანკის კოდი –*
ა/ნ – GE88 LB01 21162303 587000	*ა/ნ –*
დეპარტამენტის თავმჯდომარე	*დირექტორი*
——————————— /დემურ დიასამიძე/ ბ. ა.	*---——————————/ / ბ. ა.*

რეკვიზიტები

1. კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

2. ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

3. კონკურსანტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

4. საიდენტიფიკაციო კოდი:

5. კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:

6. ელექტრონული მისამართი:

7. მომსახურე ბანკის დასახელება:

8. ბანკის კოდი:

9. ანგარიშის ნომერი:

კონკურსანტის ხელმოწერა _____ ბ.ა.
თარიღი _____

საკონკურსო წინადადების ფასი

კონკურსანტის დასახელება _____

მომსახურების დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	სერთო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ვადა
ქ. ბათუმის და ქ. ქობულეთის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების (სულ 2) მშენებლობისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და საპროექტო ზედამხედველობა.	2			

კონკურსანტის ხელმოწერა_____ ბ.ა.

თარიღი_____

ქ. ბათუმი

ქ. ქობულეთი